საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

22/01/2025

MES 9 25 0000061712

გადაწყვეტილება

„შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 დეკემბრის №1626329 გადაწყვეტილების №1 დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 დეკემბრის №1626329 გადაწყვეტილების №1 დანართში შევიდეს ცვლილება და დანართის პირველ პუნქტში - ,,საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება" შესაბამისი ინფორმაციის ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: "საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)", ხოლო დანართის მე-13 პუნქტში - ,,ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა" მიეთითოს - "180".
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 22 იანვრის №61677 სხდომის ოქმის №06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით

აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ